



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

## სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესი

### მუხლი 1.

თბილისის ღია უნივერსიტეტი (შემდგომში -უნივერსიტეტი/თოუ) უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის შესაბამის ადაპტირებულ გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სსსმ/შშმ სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში და ინკლუზიური განათლების დანერგვას უმაღლესი განათლების სფეროში.

### მუხლი 2.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა მომსახურება ხორციელდება უნივერსიტეტის შინაგანანჯის, წინამდებარე წესის, უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულების შესაბამისად.

### მუხლი 3.

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა სწავლებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შენობაში და მის გარეთ შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობას:

ა. უნივერსიტეტის შენობის შემოსასვლელში არსებობს პანდუსი ეტლით მოსარგებლეთათვის, რომლის მეშვეობით სსსმ/შშმ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია შენობაში შემოსვლა.

ბ. შენობის ცენტრალური შემოსასვლელის მიმდებარედ და შენობის მარჯვენა გვერდით მხარეს არსებობს ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მიღწევა.

გ. შენობაში სსსმ/შშმ პირებს ემსახურება სპეციალური ადაპტირებული ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს მათ გადაადგილებას შენობის ყველა (ცხრა) სართულზე. ელექტროენერჯის მონოდების შეწყვეტის შემთხვევაში ლიფტის შეუფერხებელი მუშაობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ავტონომიური ელექტროგენერაციის სისტემით.

დ. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (ფართო ფოიე, აუდიტორიების, ლაბორატორიების და სამუშაო ოთახების, კვების ბლოკის, ბიბლიოთეკის და სხვ. შესასვლელი კარების სიგანე - 1.20 მ და მეტი ) მოწყობილია ისე, რომ სსსმ/შშმ სტუდენტმა დახმარების გარეშე შეძლოს სავარძლით გადაადგილება, ჰქონდეს ყველა დანარჩენი სტუდენტის მსგავსად, წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ/ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე. ასევე ჰქონდეს წვდომა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სკოლის ადმინისტრაციასთან;

ე. უნივერსიტეტის შენობის 1 და -1 სართულზე არსებობს სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები შესაბამის ადგილზე სავალდებულო სახელურებით;

ვ. უნივერსიტეტის შენობაში თვალსაჩინოდ გამოკრულია სსსმ/შშმ პირების გადაადგილების აღმნიშვნელი ნიშნები (მაჩვენებლები), რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირებს შეუძლიათ დახმარების გარეშე დაადგინონ გადაადგილების მარშუტი და გადაადგილდნენ სასურველი მიმართულებით;

2. უნივერსიტეტში სსსმ/შშმ პირების დახმარების მიზნით თვითმმართველობის მიერ შექმნილია „მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელიც დაკომპლექტებულია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან. „მხარდაჭერის ჯგუფის“ წევრები ეხმარებიან სსსმ/შშმ სტუდენტებს ყველა საკითხში, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ, კომფორტულ გადაადგილებას, სწავლის პროცესში წარმატებების მიღწევასა და თანატოლებთან სრულ ინტეგრაციას.

3. უნივერსიტეტის დაცვის სამსახური ვალდებულია სსსმ/შშმ სტუდენტებს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება, უნივერსიტეტის შენობაში შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილების საკითხში .

**მუხლი 4.**

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს ყველა სტუდენტისთვის თანაბარი გარემოს შესაქმნელად, რათა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღების შესაძლებლობა. ამისათვის ითვალისწინებს ყველა იმ სიახლეს, რაც რეკომენდებულია სახელმწიფოსა და სხვადასხვა ქართული თუ უცხოური ორგანიზაციების მხრიდან.

**მუხლი 5.**

1. გემოთაღნიშნული წესი მოქმედებს უნივერსიტეტის მთელს ტერიტორიაზე და მისი დამრღვევი პირი პასუხს აგებს უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.

2. გემოთაღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია აკადემიური და წარმომადგებლობითი სენატის მიერ.